საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/99

28 ივნისი, 2021 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-5 მუხლის, „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, „ბსუ-ს „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 25 ივნისის N06-01/56 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს რიგგარეშე შიდა მობილობა ბსუ-ს „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (230 ვაკანტური ადგილზე) ჩარიცხვის უფლების მოპოვებისათვის.
2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული რიგგარეშე შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) სტუდენტთა განცხადებების მიღება - 2021 წლის 28,29 ივნისი;

ბ) რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგად ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და გამოცემა - 2021 წლის 30 ივნისი.

3. რიგგარეშე მობილობის მსურველმა ბსუ-ს „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა 2021 წლის 28 ივნისიდან 29 ივნისის 16:00 საათამდე ელექტრონულად, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს განცხადება მობილობაში მონაწილეობის შესახებ.

4. სტუდენტთა განცხადებები დამუშავდეს ფაკულტეტის მიერ და წარმოდგენილი იქნეს სამსახურებრივი ბარათი მობილობაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტების თანდართული სიით (შემდეგი მონაცემებით: სახელი, გვარი, პირადობის ნომერი, 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მათ მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობის, ათვისებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისი სწავლის სემეტრისა და სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების ნომრისა და თარიღის მითითებით).
5. ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის (ვიზირებული სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ) საფუძველზე სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს რიგგარეშე მობილობის შედეგად ,,დიპლომირებული მედიკოსის" პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება, სტუდენტებისათვის ,,მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში დარიცხული სწავლის საფასურის ოდენობის შენარჩუნების დათქმით.
6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე, ასევე სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს შესაბამის სტუდენტებს.
7. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა თამარ სირაძემ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა.
9. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოთ ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს და შესაბამის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**